ლევან კურცხალია
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა
და საერთაშორისო ურთიერთობების
ფაკულტეტის დოქტორანტი

სამხედრო ატაშეს ინსტიტუტი, როგორც სამხედრო დიპლომატიის განხორციელების მექანიზმი

ანოტაცია

ჩვენს ნაშრომში ვაყალიბებთ არგუმენტებს და კონკრეტულ ფაქტებზე დაყრდნობით, კიდევ ერთხელ ვცდილობთ ხაზი გაუსვათ სამხედრო დიპლომატიის მნიშვნელობას. სამხედრო დიპლომატიის განხორციელების მნიშვნელოვან მექანიზმს, სამხედრო ატაშეს ინსტიტუტი წარმოადგენს. სამხედრო დიპლომატიის პრიორიტეტებიდან გამომდინარე და ბოლო პერიოდში რუსეთის ფედერაციის აგრესიული საგარეო პოლიტიკისა და განვითარებული ტენდენციების გათვალისწინებით, ვფიქრობთ, რომ ნატო-ს წევრი და პარტნიორი ქვეყნების სამხედრო ატაშეების როლი საშუალოვადიან პერიოდში კიდევ უფრო გაიზრდება.
ცივი ომის დასრულების შემდგომ, ევროპის ქვეყნებში სამხედრო დიპლომატიის მიზნებმა და ამოცანებმა გარკვეული ცვლილებები განიცადა, შესაბამისად, სამხედრო ატაშეს ინსტიტუტის მიმართ მიდგომები შეიცვალა. ნატო-ს წევრი სახელმწიფოების საგარეო პოლიტიკიდან და ინტერესებიდან გამომდინარე, მათ მიერ წარგზავნილი ატაშეების საქმიანობა განსხვავებულად წარმოჩნდა. ატაშეების საქმიანობა ფოკუსირებული გახდა ყოფილი სოციალისტური ბანაკის ქვეყნებისათვის სამხედრო შესაძლებლობების გაზრდისა და თავსებადობის მიღწევის მიმართულებით. სამხედრო ატაშეს თანამდებობა ბევრ ქვეყანაში თავდაცვის ატაშეს თანამდებობით შეიცვალა და უმრავლესი ქვეყნების სტარტეგიულ დოკუმენტებში სამხედრო დიპლომატია თავდაცვის დიპლომატიამ ჩაანაცვლა. ასეთი ცვლილება, მნიშვნელოვნ გავლენას ახდენს ამ ინსტიტუტის მიმართ არსებულ მიდგომებზე, თუმცა, ვფიქრობთ, რომ ჩვენ მიერ შემდგომში ტერმინების ,,სამხედრო ატაშე“ და ,,სამხედრო დიპლომატია'' გამოყენება ბევრი მიზეზის გამო უფრო რელევანტური იქნება.
ნაშრომში წარმოდგენილია საზღვარგარეთის ქვეყნებში აკრედიტებულ სამხედრო ატაშეების საქმიანობის თავისებურებები, რაც, როგორც აღინიშნა, წარმოადგენს სამხედრო დიპლომატიის განხორციელების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ელემენტს და რომელიც მოწოდებულია ქვეყნის საგარეო ინტერესების დაცვისაკენ.
სამხედრო დიპლომატია ხელს უწყობს, როგორც ქვეყნებს შორის უსაფრთხო, სტაბილურ და წარმატებული გარემოს შექმნას, ასევე ნდობის აღდგენასა და გამტკიცებას როგორც მეგობრულ, აგრეთვე დაპირისპირებულ ქვეყნებს შორის. ამ მიმართულებით სამხედრო ატაშეს როლი ძალზე მნიშვნელოვანია, ამასთანავე რთული და მრავალფეროვანია, იგი მოითხოვს სამხედრო ატაშესაგან მეტ ინიციატივასა და შემოქმედებითობას, რომელიც ატაშეს მხრიდან უნდა ეფუძნებოდეს მუდმივ განვითარებას.

საკვანძო სიტყვები: სამხედრო დიპლომატია, სამხედრო ატაშე, საზრვარგარეთ აკრედიტაცია, აშშ-ის ცვენტრალური სარდლობა, აშშ-ის ევროპული სარდლობა.

სამხედრო დიპლომატიის განხორციელების ერთ-ერთ ძირითად მექანიზმს სამხედრო ატაშეს ინსტიტუტი წარმოადგენს, ამიტომ შეუძლებელია სამხედრო დიპლომატიაზე საუბარი სამხედრო ატაშეს ინსტიტუტის განხილვის გარეშე.

სამხედრო ატაშეს ინსტიტუტის საჭიროება დაადასტურა ისტორიულმა გამოცდილებამაც, სამხედრო მოსამსახურეების გამოყენება დღევანდელი სამხედრო ატაშეს ფუნქციებით XVII საუკუნიდან შეინიშნება. ცნობილია, რომ ოცდაათწლიანი ომის დროს კარდინალმა რიშელიემ სამხედრო ოფიცრები საზღვარგარეთ მოკავშირე ძალებთან ურთიერთობების დამყარების, სამხედრო მოვლენების მონიტორინგისთვის და სადაზვერვო ინფორმაციის შეგროვების მიზნით გააგზავნა. პირველი ცნობები დიპლომატიურ მისიებში სამხედრო ატაშეს დანიშვნაზე XVIII საუკუნით თარიღდება. შემდგომ პერიოდში, სამხედრო ატაშეს ინსტიტუტის განვითარებისა და ჩამოყალიბების პროცესი შეუქცევადი გახდა. ნაპოლეონ ბონაპარტი და შარლ მორის ტალეირანი იყვნენ ის ადამიანები, რომელთა ერთობლივი გადაწყვეტილებებით საფუძველი ჩაეყარა სამხედრო ატაშეს ინსტიტუციურ ჩამოყალიბებას. ბრიტანეთის სამხედრო მოსამსახურე ე. კლარემონტი იყო პირველი სამხედრო, რომელიც წარგზავნილი იყო საფრანგეთში და პირველად იქნა მოხსენიებული, როგორც სამხედრო ატაშედ, მან აღნიშნულ თანამდებობაზე 25 წლის განმავლობაში იმსახურა.

უმეტეს ქვეყნებში სამხედრო ატაშეს პირველადი ფუნქცია ძირითადად საზეიმო ღონისძიებებში და აღლუმებში მონაწილეობას ითვალისწინებდა, დროთა განმავლობაში სამხედრო ატაშეს ფუნქცია სოციალური მოვალეობების შესრულებიდან უფრო ინფორმაციული, ფუნქციური და შედეგზე ორიენტირებული გახდა. ამავდროულად, საზღვარგარეთ დიპლომატიურ მისიებში აკრედიტებულ სამხედრო მოსამსახურეებს, თანდათანობით პროფესიული კუთხითაც დაევალათ აკრედიტაციის ქვეყნის შესაძლებლობების შეფასება, უფრო კონკრეტულად კი, მათ ამოცანა ჰქონდათ ზუსტი და დეტალური ინფორმაციის მოპოვება უცხო ქვეყნის შეიარაღებული ძალების შესახებ, კერძოდ: ინფორმაციის მიღება და ანალიზი ჯარების სახეობების რაოდენობაზე, მათ მოქმედებაზე, წვრთნაზე, ტაქტიკაზე, შტაბების შიდა ორგანიზაციაზე, სამხედრო მეთაურების პიროვნულ და პროფესიულ თვისებებზე და ა.შ.

სამხედრო ატაშეს თანამდებობა მრავალ ქვეყანაში ერთ-ერთ პრესტიჟულ საქმიანობას წარმოადგენდა. სამხედრო ატაშეების თანამდებობებზე ძირითადად გენერალური შტაბის შესაბამისი განათლებისა და ცოდნის მქონე მაღალკვალიფიციური სამხედრო მოსამსახურეები ინიშნებოდნენ. თუმცა, ცნობილია ისეთი ფაქტები, როდესაც ამა თუ იმ სამხედრო მოსამსახურის ქვეყნის შიგნით ყოფნა მისი ავტორიტეტის გამო გარკვეულ დისკომფორტს უქმნიდა სამხედრო-პოლიტიკურ ხელმძღვანელობას, ამიტომ ცენტრებიდან გარიდების მიზნით, ხდებოდა მათი საზღვარგარეთ სამხედრო დიპლომატებად წარგზავნა.

სამხედრო ატაშეს მოვალეობის შესრულება დიდ რისკებთან იყო და არის დაკავშირებული, ვინაიდან სამხედრო ატაშეს საქმიანობა ნაწილობრივ მოიცავს და არ გამორიცხავს მათი მხრიდან სადაზვერვო საქმიანობასაც. ხშირად, სამხედრო ატაშეებს განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი ხასიათის ინფორმაციის მოპოვება ევალებოდათ, ამიტომ, სამხედრო ატაშე არც თუ იშვიათად სამხედრო მზვერავთან ასოცირდებოდა. მიღებული დავალების შესრულებისთვის ატაშეს უწევდა კონტაქტების დამყარება აკრედიტაციის ქვეყნაში სხვადასხვა ინტერესების მქონე ჯგუფებთან, ხოლო მათი მხრიდან დაუდევრი მოქმედებები, რომელიც გარკვეულ ეჭვს წარმოშობდა და მის ფარულ მიზნებს გამოააშკარავებდა, ატაშეს შემდგომი კარიერისთვის სავალალო შედეგის მომტანი გახდებოდა და ის აკრედიტაციის ქვეყანაში, როგორც წესი, ,,persona non grata“ გამოცხადდებოდა. ზოგადად დიპლომატების და მათ შორის სამხედრო ატაშეების წინააღმდეგ ასეთ ფაქტს არაერთხელ ჰქონია ადგილი[1].

XVIII-XIX საუკუნეებში საზღვარგარეთ მისიებში დანიშნული სამხედრო ატაშეებისათვის ერთგვარ დამახასიათებელ ხაზს წარმოადგენდა მათი სწრაფვა დამოუკიდებლი მოქმედებისაკენ.

[1] სამხედრო პირის Persona non Grata გამოცხადების ერთ-ერთი ბოლო ფაქტი 2021 წელს მოხდა. რუმინეთის ხელისუფლებამ რუსეთის სამხედრო ატაშეს მოადგილის მ. გრიშევი ქვეყანაში არა სასურველ პირად გამოაცხადა.

ამასთანავე, ატაშეები არ ერიდებოდნენ დიპლომატიური საქმიანობისთვის მიუღებელი გზების გამოყენებას და გარკვეული საფასურის გადახდის სანაცვლოდ, ისინი ცდილობდნენ საიდუმლო ინფორმაციის მოპოვებას. სამწუხაროდ, ასეთი მაგალითები არაერთხელ გამხდარა ქვეყნებს შორის დაძაბულობისა და უთანხმოების მიზეზი. 1890 წელს გერმანიის კანცლერმა ლეო კაპრივმა (Leo Caprivi) გამოსცა განკარგულება,[1] რომელიც სამხედრო ატაშეებს უკრძალავდა აკრედიტაციის ქვეყნის შეიარაღებული ძალების შესახებ უკანონო გზებით ინფორმაციის მოპოვებას, იმ შემთხვევაში თუ მის მიმართ მოხდებოდა საიდუმლო ინფორმაციის მიღების შესახებ შემოთავაზება, დაუყოვნებლივ უნდა ეცნობებინა ხელმძღვანელობისათვის. ასეთმა შეზღუდვებმა საგრძნობლად შეამცირა უკანონო გზებით ინფორმაციის მოპოვება. თუმცა, რუსეთის იმპერიის სამხედრო ატაშეების მხრიდან უკანონო მოქმედებები ჩვეულებრივ ხასიათს ატარებდა და მათთვის შეიძლება ითქვას, რომ ასეთი შეზღუდვა არ მოქმედებდა[2].

რიგ შემთხვევებში, სამხედრო ატაშეები უკანონო გზებით ინფორმაციის მოპოვებაში განსაკუთრებულს ვერაფერს ხედავდნენ. მაგალითად 1915 წელს, არაკანონიერი მოქმედებებისთვის, აშშ ხელისუფლებამ ქვეყნიდან გააძევა გერმანიის სამხედრო ატაშე ვონ პაპენი (Von Papen)[3]. ამ ფაქტთან დაკავშირებით იგი აცხადებდა შემდეგს – „მე არ ვარ დიპლომატი და ვმოქმედებ ისე, როგორც სამხედრო და ნაკლებად ვფიქრობ იმაზე, თუ რა პიროვნული შედეგი შეიძლება მოჰყვეს ასეთ მოქმედებას''.

ამ კონტექსტში არ შეიძლება არ დავეთანხმოთ გაერთიანებული სამეფოს საგარეო საქმეთა მინისტრს, ლორდ კერზონს, რომელიც სამართლიანად აღნიშნავდა, რომ სამხედრო ატაშე ყოველთვის არ იყო სიხარულით მიღებული ადგილსამყოფელ ქვეყანაში, რადგან იგი წარმოადგენდა წარმგზავნი ქვეყნის თვალსა და ყურს მიმღებ ქვეყანაში[4].

XVIII-XIX საუკუნეებში ,,დიდი სახელმწიფოს" ლიდერებს, არც თუ კარგი წარმოდგენა ჰქონდათ კარიერულ დიპლომატებზე და მათ ღვაწლს სათანადოდ ან არ ან ვერ აფასებდნენ. იმჟამინდელი სახელმწიფოს ლიდერები ძირითადად უფრო სამხედრო დიპლომატების მიერ მოწოდებულ სამხედრო ხასიათის ინფორმაციას ეყრდნობოდნენ, რის მიზეზსაც ხსენებულ პერიოდში ქვეყნებს შორის არსებული განუწყვეტელი ბრძოლები და დაპირისპირებები წარმოადგენდა. სამხედრო ატაშეების დანიშვნა, როგორც წესი, ქვეყნის ხელისუფალის დონეზე თანხმდებოდა. სამხედრო ატაშეები ხშირად გამოდიოდნენ რა საკითხისადმი პირადი შეხედულებიდან და პატრიოტული სულისკვეთებიდან, კონკრეტული ფაქტებისა და მოვლენების შესახებ არცთუ ობიექტურ შეფასებას აგზავნიდნენ დედაქალქებში. მაგალითად, 1908-1909 წლებში ბოსნიის კრიზისის დროს, ავსტრიის იმპერიაში რუსეთის სამხედრო ატაშემ შემაშფოთებელი წერილი გააგზავნა იმპერიის დედაქალაქში, რომელზე დაყრდნობითაც რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. იზვოლსკი (Aleksandr, Count Izvolsky) რუსეთის და ავსტრია-უნგრეთის იმპერიას შორის ომის გარდაუალობასთან დაკავშირებით დარწმუნებული იყო და იმპერიის მმართველთან შესაბამისი ზომების მიღების აუცილებლობას განიხილავდა[5]. შესაბამისად, ამგვარი პრაქტიკის აღმოფხვრის მიზნით, უმრავლეს ქვეყნებში მიღებული იქნა გადაწყვეტილება, რომ ვინაიდან მისიის ხელმძღვანელი ერთიანობაში უფრო დიდ სურათს უყურებს და უფრო მეტ ინფორმაციას ფლობს აკრედიტაციის ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებზე, ამიტომ საელჩოში შემუშავებული პოლიტიკური ან სხვა სახის დოკუმენტი, სადაც ატაშეს პროფესიული შეფასებაც იქნება წარმოდგენილი, მისიის ხელმღვანელის მიერ იქნას გადაგზავნილი დედაქალაქში.

რა თქმა უნდა, ასეთი შეცდომები იმ ეპოქისთვის დამახასიათებელი მოვლენა იყო, თუმცა იმავდროულად არა ერთი დოკუმენტით და მოპოვებული ჩანაწერებით დასტურდება, თუ

[1] The Military Attache ;Vaghts A; Frincenton New Jersey; Princenton University 1967; გვ 217

[2] Idib; გვ: 224-225

[3] https://warfarehistorynetwork.com/franz-von-papen-vice-chancellor-of-nazi-germany/

[4] Wesley K. Wark The International History Review Vol. 9, No. 4 (Nov., 1987), pp. 586-611 Published By: Taylor & Francis, Ltd

[5] British Documents on the Origines of the War; London 1928 Vol V The Near East The Macedonian Problem and the Anexation of Bosnia 1803-9-გვ 77;

როგორი მნიშვნელოვანი როლი ენიჭებოდა სამხედრო ატაშეს სწორ მუშაობას და რამდენად სარგებლიანი იყო მათი საქმიანობა ისტორიულ კონტექსტში.

სამხედრო ატაშეს როლმა ქვეყნებს შორის დიპლომატიურ ურთიერთობებში აშკარა გახადა ატაშეების შემდგომი საჭიროება. სამხედრო ატაშეს თანამდებობა იმდენად საპასუხისმგებლო გახდა, რომ მათ აკრედიტაციის ქვეყნის მაღალ და უმაღლეს დონეზე მოლაპარაკებების წარმართვასაც კი ანდობდნენ. მაგალითისთვის აღსანიშნავია რუსეთ-იაპონიის ომის პერიოდი, სადაც იკვეთება სამხედრო ატაშეების მუშაობის მაღალი შედეგიანობა კერძოდ, ინგლისის, ამერიკის და კანადის სამხედრო ატაშეები, რომლებიც მიწვეული იყვნენ საბრძოლო მოქმედებების თეატრში აკვირდებოდნენ საომარ მოქმედებებს, აკეთებდნენ პირველად დასკვნებს და ომის მსვლელობასთან დაკავშირებით მნიშვნელოვან დოკუმენტებსა და ინფორმაციას აგზავნიდნენ დედაქალაქებში. დღეს ფაქტიურად გამორიცხულია ომის მსვლელობის პროცესში დაკვირვების მიზნით საბრძოლო მოქმედებების თეატრში ატაშეების მიწვევა, რისი ძირითადი მიზეზიც მათი უსაფრთხოებაა, თუმცა ატაშეების თანხმობის შემთხვევაში, შესაძლებელია დაპირისპირებაში მონაწილე მხარემ, საბრძოლო მოქმედებების დასრულების შემდეგ ან შეტაკებების დროებით შეჩერების პერიოდში, დაპირისპირების ხაზთან ახლოს ორგანიზება გაუკეთოს მის ქვეყანაში აკრედიტებული სამხედრო ატაშეების ვიზიტს, ასეთი ვიზიტი გარკვეულწილად ხელს უწყობს დაპირისპირებაში მყოფ მხარეს მოახდინოს საერთაშორისო თანამეგობრობის მაქსიმალური ინფორმირება. აღსანიშნავია, რომ აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის საომარი მოქმედებების განახლების შემდეგ, საბრძოლო მოქმედებების თეატრში ასეთი სახის ვიზიტებს ატაშეებისათვის როგორც აზერბაიჯანის, ასევე სომხეთის თავდაცვის სამინისტროები თითქმის ყოველთვიურად აორგანიზებენ.

სსრკ-ს ჩამოყალიბების პირველ წლებში, ქვეყნის მთლიანი დიპლომატიური სამსახური უსაფრთხოების წარმომადგენლებით კომპლექტდებოდა, ასეთი მიდგომა თითქმის ტრადიციად იქცა, აქედან გამომდინარე, სამხედრო ატაშეების შესრულებული სამუშაოების ხარისხიც შესაბამისი იყო. თუ რუსეთის იმპერიაში სამხედრო სამსახური პრესტიჟულ საქმიანობად ითვლებოდა, სსრკ ხელმძღვანელობას აღნიშნულთან დაკავშირებით სხვა შეხედულება ჰქონდა. სსრკ-ში სამხედრო მოსამსახურე აღარ ითვლებოდა საზოგადოების პრივილეგირებულ წარმომადგენელად, შესაბამისად სსრკ-ის სამხედრო ატაშეების მიმართაც შეიცვალა დამოკიდებულება. მაგალითად, გერმანიაში სსრკ სამხედრო ატაშე მუდმივად უგზავნიდა მოსკოვს ცნობებს გერმანიის განზრახვაზე სსრკ-სთან მოსალოდნელი ომის დაწყების თაობაზე, თუმცა საბჭოთა ხელმძვანელობა მის ინფორმაციას ყურად არ იღებდა და არასერიოზულს უწოდებდა. სსრკ-ს ხელმძღვანელობის მხრიდან, სამხედრო ატაშეს მიერ მოწოდებული ცნობების უგულვებელყოფისგან განსხვავებით, მაგალითად აშშ-ში ამ მიმართულებით სხვა ვითარება იყო, აშშ-სამხედრო ატაშე მთლიანად ჩართული იყო გერმანიის სამხედრო მოქმედებების პროცესის შეფასებაში და საელჩოებში სამხედრო ატაშეს მიერ მომზადებული დოკუმენტის ირგვლივ მიმდინარეობდა მსჯელობა, ამასთანავე ატაშეს მიერ მომზადებულ დოკუმენტს აშშ დედაქალაქში შესაბამის შეფასებას აძლევდნენ. ატაშე აშშ-ის შეიარაღებული ძალებისთვის წარმოადგენდა თვალსა და ყურს საზღვარგარეთ, მანამ სანამ თანამედროვე სატელიტური ფოტოგრაფია და დაზვერვის შეგროვების ტექნიკა შეიქმნებოდა.

სამხედრო ატაშეს როლი მნიშვნელოვნად წარმოჩნდა ცივი ომის ეპოქაში, მათ ეფექტიან მუშაობაზე მნიშვნელოვნად იყო დამოკიდებული დედაქალაქების მიერ სწორი და დროული გადაწყვეტილებების მიღება. ამ პერიოდში სამხედრო ატაშეს ფუნქცია უფრო სადაზვერვო საქმიანობაზე იყო ორიენტირებული, მათი ერთ-ერთი ძირითადი საქმიანობა მოწინააღმდეგე ქვეყნიდან საიდუმლო დოკუმენტაციის მოპოვება, ინფორმაციის შეგროვება და დედაქალაქში გადაგზავნა გახდა, ასეთი საქმიანობა თავისთავად მათი უსაფრთხოების რისკს ზრდიდა. მაგალითად, ცნობილია ფაქტი, როდესაც აშშ-ის სახმელეთო ჯარების ატაშე, რომელიც აღმოსავლეთ გერმანიაში სამსახურეობრივ მოვალეობის შესასრულებლად იყო მივლენილი, სამხედრო ბაზის სიახლოვეს ფოტო მასალის შეგროვების დროს საბჭოთა ოკუპაციის ზონაში,

ქ. პოტსდამში სამხედრო ნაწილის უსაფრთხოების სამსახურის წარმომადგენლებმა ის სასიკვდილოდ დაჭრა[1].

ზოგადად დიპლომატიამ და მათ შორის სამხედრო დიპლომატიამ დიდი წვლილი შეიტანა ცივი ომის პერიოდში ცალკეული კრიზისების მშვიდობიან გადაწყვეტაში, რაც ასევე სამხედრო ატაშეებისა და მთლიანად დიპლომატიური საქმიანობით იქნა მიღწეული.

ვინაიდან ევროპის კონტინენტზე ძირითადი კონფლიქტები 2008 წლამდე გაყინული იყო და ახალ ფართომასშტაბიან კონფლიქტებს ექსპერტების დიდი ნაწილი გამორიცხავდა, შეიძლება ითქვას, რომ ნატო-ს ქვეყნების სამხედრო ატაშეების საქმიანობას, როგორც ზოგადად სამხედრო დიპლომატიას დედაქალაქებიდან გარკვეულწილად ნაკლები ყურადღება ეთმობოდა. ავღანეთის ოპერაციაში აშშ-სა და ნატოს წევრი სხვა სახელმწიფოების ჩართულობამ და ამ მიმართულებით მაქსიმალური ყურადღებისა და სამხედრო შესაძლებლობების კონცენტრაციამ, პრაქტიკულად შეასუსტა ევროპის მიმართულებით უსაფრთხოების საკითხებზე ყურადრება. აშშ-ის ევროპული სარდლობა, რომელიც ცივი ომის პერიოდში ყველაზე ბრძოლისუნარიან სარდლობას წარმოადგენდა, ავღანეთში ოპერაციის დაწყების შემდეგ მნიშვნელოვნად დასუსტდა, ვინაიდან ძირითადი აქცენტი აშშ-ის ცენტრალური სარდლობის გაძლიერებაზე გაკეთდა, რომელიც ავღანეთსა და ახლო აღმოსავლეთზეა პასუხისმგებელი. აშშ-ის სამხედროებს არაერთხელ დაუფიქსირებიათ წუხილი იმასთან დაკავშირებით, რომ ევროპის კონტინენტიდან ავღანეთის მიმართულებით ყურადრების გადატანით შესუსტდებოდა აშშ-ის სამხედროების ცნობიერება ევროპაში არსებულ სამხედრო პოლიტიკურ სიტუაციაზე და კრიზისის წარმოქმნის შემთხვევაში, მათი მხრიდან შესაბამისი რეაქცია დაგვიანებული იქნებოდა. სამწუხაროდ ბევრი სამხედროს შიში ამ მიმართულებით გამართლდა, ასეთ მოცემულობასთან დაკავშირებით ევროპის ქვეყნებში წარგზავნილ აშშ-ის სამხედრო ატაშეებს ყველაზე ნაკლები ბრალი მიუძღვით, თუმცა ის, რომ ევროპაში აშშ-ის სახმელეთო ჯარების ყოფილი სარდალი, გენერალი ბენ ჰოჯისი პირდაპირ აცხადებს, რომ მათ შეცდომა დაუშვეს რუსეთის შეიარაღებული ძალების შესაძლებლობების გადაფასებით, ეს პირდაპირ მეტყველებს მათ შორის სამხედრო ატაშეების მიერ რუსეთის შეიარაღებული ძალების მომზადების, ტექნოლოგიური წინსვლისა და რესურსების შესახებ მიწოდებული ინფორმაციის უზუსტობაზე და ასვე იმ ანალიტიკოსების პროფესიულ ნაკლოვანებებზე, რომლებიც ევროპის კონტინენტზე მიმდინარე მოვლენების შეფასების ანალიზში და სტრატეგიულ დონეზე დაგეგმვის პროცესში არიან ჩართულები.

გადაწყვეტილების მიღების პროცესისთვის, ძალზე მნიშვნელოვანია მიღებული ინფორმაციის სწორი ანალიზი. გამოცდილ ანალიტიკოსს შეუძლია წინასწარ გაითვალისწინოს სიუჟეტის მიმართულება, რითაც საქმის სავარაუდო განვითარების განჭვრეტა კიდევ უფრო შესაძლებელი გახდება, ვინაიდან ანალიტიკოსის განკარგულებაში არსებული უზარმაზარი ფაქტები და ინფორმაცია განსაზღვრავს არა მხოლოდ მიმდინარე ვითარებას, არამედ შესაძლებლობა იქმნება მრავალვექტორული განვითარების ანალიზისთვის და შესაბამისი დასკვნების გამოტანისთვის. ანალიტიკოსისთვის სამხედრო ატაშეს მიერ მოწოდებული ინფორმაცია მისი მუშაობისთვის მეტად მნიშვნელოვანია, ამიტომ ანალიტიკოსიც და სამხედრო ატაშეც შესაბამისად მომზადებულები უნდა იყვნენ, რათა იმოქმედონ სინქრონულად. ასეთი მუშაობა კი თავისთავად არ მიიღწევა და ის პრაქტიკულ საქმიანობაში შეძენილ გამოცდილების შედეგს წარმოადგენს, რომელიც ეფუძნება მრავალჯერ გაკეთებულ ანალიზს, გამოტანილ დასკვნებსა და მისი ქვეყნისა და სხვა სახელმწიფოების მდგომარეობის ზუსტ ცოდნას.

დასკვნა

ატაშეს ფუნქცია იმდენად შერწყმულია კონკრეტული ქვეყნების მიმდინარე პოლიტიკურ და უსაფრთხოების სისტემასთან, რომ ატაშეს პროფესიული შესაძლებლობები უნდა განიხილებოდეს სახელმწიფოს საერთაშორისო პასუხისმგებლობის გათვალისწინებით, რითაც კიდევ ერთხელ მოხდება სამხედრო ატაშეს ინსტიტუტის მნიშვნელობის ხაზგასმა.

[1] https://www.nytimes.com/1985/03/26/world/american-officer-killed-by-russian-in-east-germany.html

1963წ. აშშ პრეზიდენტმა ჯ. კენედიმ აშშ საჰაერო ძალების აკადემიაში ვიზიტისას განაცხადა: ,,დღეს სამხედრო პროფესია გახდა არა მხოლოდ პრობლემის ძალისმიერი საშუალებებით გადაწყვეტის მთავარი ინსტრუმენტი, არამედ საერთაშორისო ურთიერთობების საკითხში ის გახდა აუცილებლი სამხედრო და პოლიტიკური პროფესია. დღევანდელი პროფესიონალი სამხედროებიარამხოლოდომისწარმოებაშიარიანპროფესიონალები,არამედპროფესიონალები არიან მშვიდობის შენარჩუნების საკითხშიც. მათი ცოდნა უნდა წარმოადგენდეს საერთაშორისო ურთიერთობებისა და მათი სამსახურის სინთეზს“.

პრეზიდენტ კენედის მიერ ამ მიმართვაში, კიდევ ერთხელ იკვეთება სამხედრო ატაშეების მნიშვნელოვანი როლი მშვიდობის ხელშეწყობის პროცესში. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სამხედრო ატაშეს ინსტიტუტი საერთაშორისო ურთიერთობების კონტექსტში ვერ იქნება განხილული, როგორც ცალკე გამოყოფილი ერთი რგოლი, რომლის საქმიანობა კონკრეტული შედეგის მომტანი იქნება. საბოლოო მიზნის მიღწევისათვის მნიშვნელოვანია, რომ კონკრეტული ქვეყნის მიერ შემუშავებული საგარეო პოლიტიკის აღსრულების პროცესში მონაწილე თითოეულმა რგოლმა, განსაკუთრებული პროფესიონალიზმით და მონდომებით აღასრულოს მასზე დაკისრებული მოვალეობა, რაც საბოლოო ჯამში ხელს შეუწყობს და დაიცავს ქვეყანას საგარეო საფრთხეებისაგან.

გამოყენებული ლიტერატურა:

1) The Military Attache ;Vaghts A; Frincenton New Jersey; Princenton University 1967; გვ 217
2) https://warfarehistorynetwork.com/franz-von-papen-vice-chancellor-of-nazi-germany/
3) The International History Review Vol. 9; Wesley K. Wark; 1987; გვ. 586-611
4) British Documents on the Origines of the War; London 1928 Vol V The Near East The Macedonian Problem and the Anexation of Bosnia 1803-9; გვ 77;
5) https://www.nytimes.com/1985/03/26/world/american-officer-killed-by-russian-in-east-germany.html